# საქართველო
# ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი
# "დინამო"

ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 2, ტელ.: 95 62 06, 95 14 36; ფაქსი: 95 43 86
E-mail: geosport2001@hotmail.com


№ 34 5 07 2013 წ.

სკ "დინამო" თბილისის პრეზიდენტს
ბ-ნ რომან ფიფიას

დირექტორს ბ-ნ ალესანდრე შახოვს

სს "ბორის პაიჭაძის სახელობის
ეროვნული სტადიონის"დირექტორს
ქალბატონ ციცო სურგულაძეს

შპს "დინამო არენას" დირექტორს
ბ-ნ ნიკოლოზ ჯღარკავას

სპორტული კლუბი "დინამო"-ს თანამშრომლები, ვეტერანი სპორტსმენები და ვეტერანი დინამოელები ბოლო რამდენიმე წელია ვაკვირდებით ისტორიული კლუბის ნგრევისა და ჩამოშლის პროცესს, რაც ჩვენს გულის ტკივილს იწვევს. აღნიშნული პროცესი გამოწვეული იყო მრავალი ფაქტორით.

მრავალი ათეული წლის მანძილზე კლუბი აერთიანებდა საქალაქო და რეგიონალურ ორგანიზაციებს, ფლობდა სპორტულ ბაზებს. სამწუხაროდ დღეის მდგომარეობით კლუბს თავისი აქტივებიდან პრაქტიკულად აღარ დარჩა არაფერი.

მოგეხსენებათ, რომ საფეხბურთო კლუბი თბილისი "დინამო"-ს ისტორია 1925 წლიდან იწყება და მისი დამაარსებელი და სულის ჩამდგმელი სწორედ, რომ სპორტსაზოგადოება "დინამო" გახლდათ. ძველი ხელისუფლების "ძალისხმევით" კლუბი იძულებული გახდა გაესხვისებინა მის საკუთრებაში არსებული ქონება. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში ჩვენს საკუთრებაში არსებული ქონების შპს საფეხბურრთო კლუბი "დინამო" თბილისისისთვის ე.წ. მიყიდვის ფაქტი, როდესაც თითქმის 40000 კვ.მ. ფართი სულ რაღაც 600000 ლარად გადმოგეცათ. თქვენც ხომ კარგად იცით ბატონებო, რა პირობებში, რა მანიპულაციებით და ვისი ხელშეწყობით განხორციელდა აღნიშნული გარიგება?! რომ არა ზეწოლა და კლუბის საქმიანობის მიზანმიმართული ხელისშეშლა სახელმწიფო სტრუქტურების თუ ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან, აღნიშნული გარიგება მხარეებს შორის არ შედგებოდა.

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო" ასევე წარმოადგენს სს "ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის" აქციონერს. თავის დროზე, როცა ეროვნული სტადიონი მრავალწლიანი მმართველობის უფლებით გადაეცა შპს "დინამოინვესტს"ჩვენი წილი კაპიტალში შეადგენდა 33,44%, ხოლო "დინამოინვესტის" "მონდომე–ბით", გამოიყენა რა თავისი დომინირებული მდგომარეობა, აღნიშნუ-ლი საპროცენტო მაჩვენებელი ჩამოვიდა 11,44%-მდე. ეს მოქმედებაც კლუბის შესუსტების ერთ-ერთი მცდელობა გახლდათ, რაც მათ მეს-ვეურებს გამოუვიდათ კიდეც.

ყოველივე ზ/აღნიშნულის საბოლოო შედეგი არის შემდეგი, რომ ფსკ "დინამო" აიძულეს მის საკუთრებაში არსებული საფეხბურთო კლუბი "დინამო"-ს წილი 10% გაესხვისებინა შპს"საფეხბურთო კლუ-ბი "დინამო თბილისი"-ს მაშინდელ მფლობელზე შპს "ალპისტალ ჰოლდინგზე"(ოფშორში რეგისტრირებული), ნასყიდობის ღირებულე-ბა – 200 ლარი და ასევე ამავე დღეს 06.06.2011 წ. მის საკუთრებაში არსებული "დინამო"-ს საწვრთნელი ბაზის ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს ქ.თბილისში, დიღმის მასივის მე-3 კვარტალში არსებული მიწის ნაკვეთს 38692კვ.მ. და მასზე განთავსებული შენო-ბა-ნაგებობები 23718კვ.მ. გასხვისდა მოიჯარეზე 600.000 ლარად რაც მარტივად მისახვედრია, რომ აშკარად არაადეკვატური ფასია და ადგილი ჰქონდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით ფსკ "დინამო"-ს საკუთრებაში არსებული ქონების დაუფლებას.

დღეს საკითი დგას გადავარჩინოთ და ავაღორძინოთ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო". იმედს ვიტოვებთ, ჩვენთან ერთად გაიზიარებთ ამ სულისკვეთებას და კონსესუსის და ურთიერთპატივისცემის გზით გამოვნახავთ ყველა იმ შესაძლო გზას, რაც საბოლოო ჯამში არა რომელიმე ჩვენგანის ინტერესებს, არამედ ქართული სპორტისა და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს მოემსახურება. თქვენგან გადმოდგმული ყოველი სასიკეთო ნაბიჯი ისევ და ისევ თქვენს იმიჯსა და პრესტიჟზე იქონიებს ზეგავლენას.

დიდი პატივისცემით და თქვენი კეთილი
ნების გამოხატვის მოლოდინში:

ნ.ივანიშვილი – კლუბის თავმჯდომარე –

ნ.სირბილაშვილი – კლუბის გენერალური დირექტორი,
სპორტის ოსტატი –

გ.საღარაძე – კლუბის სპორტის დირექტორი, ოლიმპიური
თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს
ორგზის ჩემპიონი –

რ.ჩემიშკიანი – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი –

რ.შავლაყაძე – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი –

გ.შარაბიძე – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი –

გ.კეტაშვილი – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი –

ვ.ბლაგიძე – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი –

მ.ჯუღელი – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი –

დ.გობეჯიშვილი – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი –

ი.ცირეკიძე – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი –

მ.კვირკველია – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი –

ნ.დერიუგინი – ოლიმპიური თამაშების ვერც.პრიზიორი –

ნ.ხერგიანი – ოლიმპიური თამაშების ვერც.პრიზიორი –

გ.მინაშვილი – ოლიმპიური თამასების ვერც.პრიზიორი –

ლ.კურტანიძე – ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯ. პრიზიორი –

მ.ხურცილავა – ოლიმპიური თამაშების ბრინჯ.პრიზიორი –

გ.გოგშელიძე – ოლიმპიური თამაშების ბრინჯ.პრიზიორი –

ო.თუშიშვილი – ოლიმპიური თამაშების ბრინჯ.პრიზიორი –

მ.სალაძე – მსოფლიოს ჩემპიონი –

ა.ჩივაძე – თასის ფლობელთა თასის მფლობელი –

ზ.ტატუაშვილი – ყოფ.ს.ს.რ.კ. თასის მფლობელი –

დ.ჯანუყაშვილი – ყოფ.ს.ს.რ.კ. ორგზის ჩემპიონი –

ვ.ბარქაია – ყოფ.ს.ს.რ.კ. ჩემპიონი –

ი.დათუნაშვილი – ყოფ.ს.ს.რ.კ. ჩემპიონი –

ო.მიმინოშვილი – ყოფ.ს.ს.რ.კ. ჩემპიონი –

ნ.გოგიბადაშვილი – ყოფ.ს.ს.რ.კ. ჩემპიონი –

ც.კობაიძე – ყოფ.ს.ს.რ.კ. ჩემპიონი –

ა.ახვლედიანი – მძლეოსნონის ფედერაციის პრეზიდენტი –

მ.ჯოჯუა – სპორტის დამსახურებული მოღვაწე –

თ.ივანიშვილი – სპორტის დამსახურებული მწვრთნელი –

გ.ხაჩიძე – სპორტის დამსახურებული მწვრთნელი –

თ.გოგოლაძე – სპორტის დამსახურებული მწვრთნელი –

ა.მაისურაძე – სპორტის დამსაXურებული მწვრთნელი –

მ.ტუღუში – სპორტის დამსახურებული მწვრთნელი –

ვ.ცუხიშვილი – სპორტის დამსახურებული მწვრთნელი –

ნ.სხიერელი – სპორტის დამსახურებული მწვრთნელი –

ზ.მუხიაშვილი – სპორტის დამსახურებული მწვრთნელი –

გ.პაპიტაშვილი – სპორტია დამსახურებული მწვრთნელი –

ჯ.ვეფხვაძე – კლ.”დინამო”-ს ვეტერანი –

ზ.ვარაზაშვილი – კლუბის ფინანსური დირექტორი –

ა.ჭანტურია – კლუბის თანამშრომელი –

კ.ცუხიშვილი – კლუბის თანამშრომელი –

მ.გოგინაშვილი – კლუბის თანამშრომელი –